პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

Газета выходит с 1926 года.
გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

№ 39 (2082) კვირა 29 სექტემბერი, 1985 წელი. ● ფასი 2 კაპ.

## УКАЗ
### ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР

**О НАЗНАЧЕНИИ тов. РЫЖКОВА Н. И. ПРЕДСЕДАТЕЛЕМ СОВЕТА МИНИСТРОВ СССР**

Президиум Верховного Совета СССР **постановляет:**

Назначить тов. Рыжкова Николая Ивановича Председателем Совета Министров СССР.

Председатель Президиума Верховного Совета СССР
А. ГРОМЫКО.

Секретарь Президиума Верховного Совета СССР
Т. МЕНТЕШАШВИЛИ.

Москва, Кремль.
27 сентября 1985 г.

## УКАЗ
### ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР

**ОБ ОСВОБОЖДЕНИИ тов. ТИХОНОВА Н. А. ОТ ОБЯЗАННОСТЕЙ ПРЕДСЕДАТЕЛЯ СОВЕТА МИНИСТРОВ СССР**

Президиум Верховного Совета СССР **постановляет:**

Удовлетворить просьбу тов. Тихонова Николая Александровича об освобождении его от обязанностей Председателя Совета Министров СССР в связи с уходом на пенсию по состоянию здоровья.

Председатель Президиума Верховного Совета СССР
А. ГРОМЫКО.

Секретарь Президиума Верховного Совета СССР
Т. МЕНТЕШАШВИЛИ.

Москва, Кремль.
27 сентября 1985 г.

# Николай Иванович РЫЖКОВ —
## Председатель Совета Министров СССР



На снимке: член Политбюро ЦК КПСС, Председатель Совета Министров СССР Н. И. Рыжков.

Николай Иванович Рыжков родился в 1929 году, русский, член КПСС с 1956 года. Окончил Уральский политехнический институт имени С. М. Кирова.

Трудовую деятельность начал в 1950 году сменным мастером Уральского завода тяжелого машиностроения имени С. Орджоникидзе, был здесь начальником пролета, начальником цеха, главным сварщиком, заместителем директора, а с 1965 года — главным инженером. С 1970 года Н. И. Рыжков — директор этого завода, а затем генеральный директор производственного объединения «Уралмаш».

В 1975 году назначен первым заместителем министра тяжелого и транспортного машиностроения, а в 1979 году — первым заместителем председателя Госплана СССР.

На ноябрьском (1982 г.) Пленуме ЦК КПСС Н. И. Рыжков избран секретарем Центрального Комитета КПСС. Одновременно он являлся заведующим экономическим отделом ЦК КПСС. На апрельском (1985 г.) Пленуме ЦК КПСС Н. И. Рыжков избран членом Политбюро ЦК КПСС.

Николай Иванович Рыжков с 1981 года член ЦК КПСС. Депутат Верховных Советов СССР (9—11 созывы) и РСФСР. Дважды лауреат Государственной премии СССР.

За заслуги перед Родиной Н. И. Рыжков награжден двумя орденами Ленина, орденом Октябрьской Революции, двумя орденами Трудового Красного Знамени и медалями.

საქართველოს კომპარტიის თბილისის
საქალაქო კომიტეტში

# სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის

**საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში გაიმართა ქალაქის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელიც წლევანდელ 8 თვეში დამნაშავეობასთან ბრძოლის შედეგების შეჯამებას მიეძღვნა.**

**ინფორმაციებით გამოვიდნენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი დ. ხალარიძე და თბილისის პროკურორის მოადგილე ვ. ფოცხვერია.**

**საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. ბერიშვილი, ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი დ. ღლონიძე, გლდანის რაიონის პროკურორი თ. მახარაძე, 26 კომისრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში ე. ოგანეზოვი, შინაგან საქმეთა სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის უფროსი შ. წინწკალაძე.**

**თათბირზე გამოვიდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. შადური.**

**თათბირის შედეგები შეაჯამა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ჯ. კუხალაშვილმა.**

**რვა** თვის მაჩვენებლები მოწმობს, რომ ამ პერიოდში შარშანდელ იმავე პერიოდთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით რეგისტრირებულ, მათ შორის ისეთ მძიმე ბოროტმოქმედებათა, როგორიც არის მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, ყაჩაღობა, ტრანსპორტის გატაცება და სხვ. საერთო რაოდენობა.

ამასთან, აღინიშნა თათბირზე, ჯერ კიდევ საგანგაშოა ბინის ქურდობის გახსნა, არადამაკმაყოფილებელია ბრძოლა მუქთახორობის აღმოსაფხვრელად, რომელიც ხშირად სხვადასხვა სამართალდარღვევის მკვებავი სფეროა.

ქვლავ შეიმჩნევა, ხაზგასმით ითქვა თათბირზე, სახელმწიფო აღრიცხვისაგან დამნაშავეობის მიჩქმალვის ფაქტები. მაგალითად, წლევანდელ აგვისტოში გლდანის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მეორე ქვეგანყოფილებაში შევიდა სიგნალი ბინის ქურდობის ფაქტზე. მაგრამ პასუხისმგებელმა მორიგემ გ. არბოლაშვილმა და ოპერრწმუნებულმა დ. ჯანგველიძემ ეს სიგნალი ურეაგირებოდ დატოვეს და ფაქტი სახელმწიფო აღრიცხვას დაუმალეს. მხოლოდ მეორედ შეტყობინების შემდეგ, ამჯერად რაიონის პროკურატურაში, საქმე ადგილიდან დაიძრა.

თათბირზე სათანადო პრინციპული შეფასება მიეცა სახელმწიფო აღრიცხვისაგან ქურდობათა მიჩქმალვის ფაქტებს. მათ წინააღმდეგ, ვინც ასეთი დარღვევა დაუშვა, მიღებული იქნება ზემოქმედების უმკაცრესი ზომები.

თათბირზე მკვეთრად გააკრიტიკეს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანოების მუშაობა.

ქალაქის სახელმწიფო ავტოინსპექცია ბევრს აკეთებს მაგისტრალებზე წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის, გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. დადებითი შედეგები ცხადია, მაგრამ მიღწეული, რა თქმა უნდა ზღვარი როდია.

თათბირზე ყურადღება გაამახვილეს იმაზეც, რომ ქალაქში ბევრ დანაშაულს არასრულწლოვანები სჩადიან.

თათბირმა შეიმუშავა კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია რესპუბლიკის დედაქალაქში სოციალისტური კანონიერების, მართლწესრიგის, დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისაკენ.

# РАПОРТУЮТ

**Учреждение, где н. о. начальника майор в/с А. Тумасов, план выпуска товарной продукции и дополнительных заданий за август месяц текущего года выполнило на 106,7 процентов, выпущено товарной продукции на сумму один миллион 75 тыс. рублей при плане один миллион 7 тыс. рублей.**

**Реализовано товарной продукции на сумму один миллион 83 тыс. рублей при плане один миллион 55 тыс. рублей, процент выполнения составил 102,7 процента.**

**План нормативной чистой продукции выполнен на 105,2 процента.**

**Выпуск продукции с государственным Знаком качества за август месяц выполнен на 113,1 процента.**

**— ОФИЦИАЛЬНЫЙ ОТДЕЛ «МГБС» —**

# ИХ ПООЩРИЛ МИНИСТР

За активное участие в раскрытии опасных преступлений, инициативу и профессиональное мастерство, образцовое исполнение служебных обязанностей министр внутренних дел СССР генерал армии **В. В. ФЕДОРЧУК** наградил

**ПОЧЕТНОЙ ГРАМОТОЙ МВД СССР:**

— капитана милиции **БАГАТЕЛИЯ ГИМЕРА ГИВИЕВИЧА** — старшего следователя СО МВД Абхазской АССР;
— полковника внутренней службы **БАРНОВА НИКОЛАЯ ВАСИЛЬЕВИЧА** — начальника медицинского отдела МВД Грузинской ССР;
— майора милиции **САЛИЯ ВАЖУ ГРИГОРЬЕВИЧА** — заместителя начальника ОБХСС МВД Абхазской АССР.

# დამნაშავეობასთან ბრძოლის ერთიანი ფრონტით

**დამნაშავეობის** და კანონიერების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში დადებითი შედეგების მიღწევის მთავარი ფაქტორი ის არის, რომ სამართალდაცვითი ორგანოები ახორციელებენ ერთიან, მიზანდასახულ ღონისძიებებს, რომლებიც განმტკიცებულია პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებით. სწორედ ასეთი პრაქტიკა დამკვიდრდა გულრიფშის რაიონში.

რაიონში შექმნილია და მოქმედებს მწყობრი სისტემა პარტიული ხელმძღვანელობისა იმ საქმიანობისადმი, რომელსაც მილიციის განყოფილება ეწევა სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად დამნაშავეობასთან ბრძოლაში, პარტიული ორგანიზაციის და რაიონული აქტივის კრებებზე ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის რაიონულ სამუშაო ჯგუფში რეგულარულად განიხილება მართლწესრიგის განმტკიცების საკითხები, ოპერატიულად წყდება მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტულ საკითხებს სისტემატიურად განიხილავენ პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროსა და რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე, სადაც ისმენენ შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშებს.

შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაობის ქვაკუთხედი მუდამ იყო და არის პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, დამნაშავეობის თავიდან აცილება, საბჭოთა კანონებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით მოსახლეობის აღზრდა. შემუშავებულია და მოქმედებს დამნაშავეობასთან ბრძოლის მწყობრი, გააზრებული სისტემა. ბევრი რამ კეთდება რაიონში მოქალაქეთა სამართლებრივი კულტურის ამაღლებისათვის, მეტი ყურადღება ექცევა სამართალაღმზრდელობით საქმიანობას შრომით კოლექტივებში.

შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით გარკვეულ მუშაობას ეწევიან ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად. ამაღლდა მილიციის მუშაკთა პასუხისმგებლობა, განმტკიცდა მათი კავშირი შრომით კოლექტივებთან, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, და მაინც, ჯერ კიდევ ახერხებენ ზოგიერთი მოქალაქეები ხალხმრავალი ქორწილების მოწყობას. ამას წინათ პარტიის გულრიფშის რაიკომის ბიურომ მკაცრად იმსჯელა სოფელ განახლებაში მოწყობილი ხალხმრავალი ქორწილის თაობაზე, რისთვისაც სოფლის თავკაცებთან ერთად ჩვენი თანამშრომელი, უბნის ინსპექტორიც დაისაჯა.

შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ გარკვეული ღონისძიებები ხორციელდება სოციალისტური საკუთრებისა და პირადი ქონების დაცვის, მექრთამეობის, სპეკულაციის, ანგარიშგებაში წამატებების, პიროვნების სიცოცხლის ხელყოფის, საზოგადოებრივი წესრიგისა და სხვა დარღვევათა წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში, რამაც განაპირობა დანაშაულის რამდენადმე შემცირება.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკთა ოპერატიული შესაძლებლობანი ჯერ მთლიანად არ არის გამოყენებული.

კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევისა და ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის პრობლემა მეტად რთული საკითხია და მისი დადებითად გადაწყვეტა ჩვენგან მოითხოვს უფრო შემართებით ვიბრძოლოთ დამნაშავეთა წინააღმდეგ. საამისოდ განყოფილება საჭირო კადრებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ, ამის მიუხედავად, სათანადო უკუგებით ვერ ვიბრძვით სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ.

განყოფილების პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები, პოლიტგანყოფილება გარკვეულ მუშაობას ატარებენ კადრების პასუხისმგებლობის, მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

ჩვენ კარგად გვესმის შინაგან საქმეთა განყოფილების როლი და პასუხისმგებლობა რაიონში კერძომესაკუთრული ტენდენციებისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა წარმატებით გადავწყვიტოთ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები.

**ა. ჭოჭონავა,**
**გულრიფშის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი.**

НЕГАТИВНЫМ ЯВЛЕНИЯМ — БОЙ!

В числе пагубных привычек, доставшихся нам в наследство от старого мира, особенно вредным является пьянство. Оно причиняет непоправимый вред здоровью, в ряде случаев становится основной причиной плохих отношений в семье. На этой почве порою случаются и тяжкие преступления. Так было, например, в семье Топурия О. С., рабочего Бзыбского отделения Ульяновского управления «Спецотделстроя» зоны города Гагра. Сперва разрушилась семейная жизнь, затем Топурия, находясь в нетрезвом состоянии, пришел домой к своей бывшей супруге и нанес ей телесные повреждения. Рабочий Сухумского бетонного завода Вишняков Н. А., учинил скандал, а затем избил супругу. Пенсионер из Сухуми Волков Г. Д., несмотря на свой преклонный возраст, устроил дебош и ударил жену ножом в живот. Женщина в тяжелом состоянии была доставлена в больницу.

Часто бывает, что по недосмотру взрослых спиртные напитки употребляют подростки, что не только пагубно сказывается на неокрепшем организме, но и толкает их на правонарушения.

Антиобщественная сущность пьянства с особой остротой проявляется в его связи с преступностью и другими нарушениями общественного порядка. Пьяный вступает в необоснованные конфликты с окружающими, учиняет ссоры, драки. Потеря контроля над собой и характерное для пьяных легкомыслие легко приводит к перерастанию в преступление любой конфликтной ситуации, не говоря уже о несчастных случаях, происходящих с ними самими.

Опасен пьяный за рулем. В. В. Михайлиди, находясь в нетрезвом состоянии и управляя принадлежащей ему автомашиной, совершил наезд на велосипедиста, который с телесными повреждениями был доставлен в больницу. А вот другой пример. Находившиеся в нетрезвом состоянии колхозники колхоза им. Пушкина села Мерхеули Субелиани Г. А. и заведующий клубом села Ахали Ажара Гульрипшского района Гурчиани У. С. сами попали под машину, водитель которой был трезв, но не мог избежать несчастного случая из-за грубого нарушения правил дорожного движения со стороны названных лиц.

Большое место среди преступлений, совершаемых на почве пьянства, занимает хулиганство.

На почве пьянства совершаются и наиболее тяжкие преступления — изнасилования, убийства.

В селе Дурипш Гудаутского района колхозник колхоза имени Ленина Габуния З. В. выстрелом из принадлежащего ему незарегистрированного охотничьего ружья убил гражданина Т.

## Преступные последствия пьянства

Да, плохие вещи вытворяет алкоголь с любителями спиртного. Только что они клялись друг другу в любви и дружбе, но вот одному из недавних собутыльников что-то приходится не по нраву, и он бросается с ножом на своего приятеля. Так было, к примеру, в селе Киндги Очамчирского района, в превращенном в распивочную вагончике общежития буровой № 7 «Грузбургеологии». Здесь между Лукишиным Г. А. и нигде не работающим Поповым Ю. М. возникла ссора, во время которой Лукишин нанес ножевое ранение последнему, от чего тот скончался. В г. Сухуми во время выпивки между Глухих М. В., страдающим хроническим алкоголизмом и временно не работающим, неким Абазиди Ф. Г. произошел скандал, в результате которого Глухих ударил собутыльника табуреткой по голове. Удар был смертельным.

В числе причин, способствующих пьянству, — нарушения правил реализации алкогольных напитков предприятиями торговли и общественного питания, а также подпольное производство и реализация самогона. Органами внутренних дел за реализацию чачи привлечены к административной ответственности жители зоны города Гагра Маева Т. Г., Сванидзе Т. И., Нодария Т. В. и другие. Привлечены к уголовной ответственности за изготовление и реализацию в Гали фальсифицированной водки житель Сухуми Гулуа А. Д., работавший в столярном цехе УБОНа Гульрипшского района и Кварацхелия Б. Д., подвизавшийся слесарем на Цаленджихской чайной фабрике, которые в момент задержания имели при себе 128 литров (в полулитровых бутылках с этикеткой «Русская») фальсифицированной водки, предназначенной для реализации через торговую сеть. Кроме того, в доме родителей Гулуа в селении Лекухона Гальского района при обыске обнаружили 70 литров такой же фальсифицированной водки, а также принадлежности для ее изготовления.

Пьянству способствует и то обстоятельство, что в автономной республике повсеместно, как грибы, вырастают объекты общественного питания, которые, по существу являясь столовыми, именуются шашлычными, закусочными, кафе и т. п., что дает им право торговли вино-водочными изделиями. Нарушаются ограничения времени торговли спиртным в магазинах. Получила широкое распространение порочная практика продажи спиртных напитков на улицах городов и поселков, на пляжах, в местах массового отдыха.

Общественная опасность пьянства и масштабы наносимого им вреда не могут не тревожить. И органы внутренних дел при поддержке трудовых коллективов будут вести неустанную борьбу с пьянством и совершаемыми на этой почве антиобщественными поступками.

**И. НАРМАНИЯ,**
**заместитель министра внутренних дел Абхазской АССР, майор милиции.**

ფოტორეპორტაჟი

## სიახლე მოქალაქეთა მომსახურებაში



**სახელმწიფო** ავტოინსპექციის სამმართველოს საგამოცდო სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების (უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი მ. სვანიძე) ძირითად საქმიანობას შეადგენს ავტომანქანების აღრიცხვა. გაფორმება, მოხსნა სახელმწიფო აღრიცხვიდან და სხვადასხვა ოპერაციები, რომელიც დაკავშირებულია ავტოტრანსპორტთან. საგამოცდო ჯგუფში ხდება ახალბედა მძღოლების შემოწმება მოძრაობის წესებისა და ავტომანქანის ტარების ცოდნაში. მართვის მოწმობების შეცვლა, მძღოლთა გადამოწმება მოძრაობის წესების ცოდნაში.

აღნიშნული ქვეგანყოფილება მდებარეობდა ქალაქის განაპირა გლდანის რ-ში, ამიტომ ჩვენი დედაქალაქის მშრომელები, დიდ დროს ახმარდნენ იმ საკითხების დროულად გადაწყვეტას, რომელიც ამ ქვეგანყოფილების მუშაობაზე იყო დამოკიდებული. ახლა კი ქვეგანყოფილება გადატანილი იქნა ქალაქის ცენტრში, ქ. თბილისის ავტოინსპექციის შენობაში, რომელიც შეკეთდა და კეთილმოეწყო. ამით გაუმჯობესდა მოქალაქეთა მიღების ორგანიზაცია. ქალაქის ადმინისტრაციული რაიონები დაიყო სამ ზონად, რამაც ხელი შეუწყო მშრომელთა სწრაფ მომსახურებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი მთავარი სიახლეა ისიც, რომ მართვის მოწმობის გაცემა ხდება ადგილზე „დოსააფის" განყოფილებაში, რაც ასევე აადვილებს მოქალაქეთა მომსახურებას.



**სურათზე: ქვეგანყოფილების მუშაკები საბუთების შემოწმებისას; საგამოცდო მანქანა „ვიატკა-20"-ზე მიმდინარეობს მძღოლთა მომზადების შემოწმება; ქვეგანყოფილების თანამშრომელი ნ. შენგელია ავსებს მართვის მოწმობებს.**

**ა. გოგოლაძის**
**ტექსტი და ფოტო**



ИДУТ ОТЧЕТЫ И ВЫБОРЫ

## С задачами справятся

**На днях состоялось отчетно-выборное собрание первичной комсомольской организации СВПЧ-30 УПО МВД ГССР г. Цхинвали. На собрании присутствовали начальник политотдела УВД Юго-Осетинского облисполкома Г. И. Мацнашвили, второй секретарь Юго-Осетинского обкома ЛКСМ Грузии П. Г. Намшуридзе, заведующий отделом спортивной работы ГК ЛКСМ Грузии Т. П. Гаглоев, начальник СВПЧ-30 майор в/с В. Д. Бакрадзе и другие.**

**На повестке дня был отчет секретаря первичной комсомольской организации СВПЧ-30 С. А. Тедеева, выборы нового состава комитета комсомола и штаба комсомольского прожектора.**

**На собрании шел разговор и о работе «Комсомольского прожектора» части. «КП» за отчетный период провел определенную работу по выявлению нарушений и их устранению среди комсомольцев части.**

**Выступающие на собрании заверили руководство УВД Юго-Осетии, ГК ЛКСМ Грузии и Юго-Осетинский обком комсомола, что личный состав СВПЧ-30 г. Цхинвали с поставленными задачами справится.**

**Г. КОРДЗАДЗЕ.**

# ტრანსპორტზე სანიმუშო წესრიგისათვის

**გასულ წელს რესპუბლიკის ტრანსპორტის შინაგან საქმეთა სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გამოითქვა რიგი შენიშვნებისა და საგამომძიებლო განყოფილების კომუნისტთა მუშაობაზე. საანგარიშო პერიოდში გამომძიებელთა პროფესიული ოსტატობის ამაღლებისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის გაწეული საქმიანობის შესახებ გვესაუბრება საქართველოს ტრანსპორტის შს სამმართველოს საგამომძიებლო განყოფილების უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი ნ. დარახველიძე.**

**ტრანსპორტზე** მომხდარ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოძიების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც თავისთავად დაკავშირებულია გამომძიებლების პროფესიული ოსტატობის დონესთან. ამ მხრივ 1984-85 წლებში საგამომძიებლო განყოფილებას ქონდა გარკვეული სიძნელეები. აღნიშნულ პერიოდში მიღებული იქნა რამდენიმე დამწყები გამომძიებელი. საქმეს ერთგვარად ართულებდა ის გარემოებაც, რომ დამწყებ გამომძიებლებს გაგრაში, ქუთაისში, ზესტაფონში და ხაშურში მარტო უხდებოდათ მუშაობა. საქმეების რაოდენობამ კი 1984 წელს მნიშვნელოვნად იმატა. მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის განყოფილების ხელმძღვანელობის მხრივ საჭირო იყო განუხრელი ღონისძიებების გატარება, რათა ახალგაზრდა გამომძიებლებს შეესოთ წინასწარი გამოძიებისათვის საჭირო თეორიული ცოდნა, ერთდროულად შეესწავლათ მათი პრაქტიკული გამოყენება, ისე რომ არ დაერღვიათ პროცესუალური ნორმები და არ დაეშვათ სოციალისტური კანონიერების დარღვევების შემთხვევები.

ამ ამოცანების განსახორციელებლად განყოფილების ხელმძღვანელობის მიერ გატარებული იქნა რიგი ღონისძიებებისა.

ყოველ ახალგაზრდა გამომძიებელს დამრიგებლად დაენიშნა გამოცდილი გამომძიებელი. დამრიგებლები პრაქტიკულად ასწავლიდნენ ახლად დანიშნულ გამომძიებლებს საგამომძიებლო მოქმედებების შესრულებას. საქმეებზე და მასალებზე აძლევდნენ კონსულტაციებს და სისტემატიურ დახმარებას უწევდნენ მათ საქმიანობაში.

გამომძიებლების პროფესიული დონის ამაღლების მიზნით საგამომძიებლო განყოფილების ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული იქნა შიმოხილვა ტვირთების დატაცებასთან და სხვა დანაშაულთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების სპეციფიკის შესახებ. ასევე შემუშავებული იქნა გამომძიებლის სამახსოვრო ფურცელი ტვირთების დატაცების შესახებ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეების წინასწარ გამოძიების თავისებურების შესახებ, რაც სახელმძღვანელოდ დაეგზავნათ გამომძიებლებს. ყოველი კვარტლის ბოლოს ოპერატიულ თათბირებზე განვლილი მუშაობის ანალიზების შემდეგ ტარდებოდა სწავლება-სემინარი გამომძიებლების მუშაობისათვის საჭირო სამართლებრივ საკითხებზე. ასევე ამავე თათბირებზე მოწმდებოდა გამომძიებლების ცოდნის და მომზადების დონე, მათთან უშუალო საუბრებით და კონტაქტით, მათ ეძლეოდათ კონსულტაციები და რჩევა-დარიგებანი იურიდიული ლიტერატურის პერიოდულად გაცნობის თაობაზე.

განყოფილების ხელმძღვანელობა თითოეულ გამომძიებელთან მათი ცოდნის გაფართოებისა და გაღრმავების მიზნით ატარებდა და ატარებს პირად საუბრებსაც, რა დროსაც განიხილებოდა როგორც კონკრეტული პრაქტიკული, ასევე თეორიული საკითხები.

ყოველივე ზემოხსენებული ღონისძიებების გატარების შედეგად ახალგაზრდა გამომძიებლები ძირითადად პროცესუალურად სწორად ასრულებენ საგამომძიებლო მოქმედებებს და შეუძლიათ დამოუკიდებლად წარმართონ სისხლის სამართლის საქმეები. ამ გარემოებამ გარკვეული დადებითი ზემოქმედება მოახდინა განყოფილების ძირითად მაჩვენებლებზე, თუ 1984 წელს, განსაკუთრებით I — ნახევარში ეს მონაცემები გაუარესდა, ისინი 1984 წლის მეორე ნახევარში და 1985 წლის I — ნახევარში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. განსაკუთრებით შემცირდა დამატებით გამოძიებაზე დაბრუნებულ და ვადის დარღვევით დამთავრებულ სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა და გაუმჯობესდა გამოძიების ხარისხი.

საგამომძიებლო განყოფილებას თითქმის ყველა ძირითად რეგიონში გვყავს გამომძიებლები, რომლებსაც შესწევთ უნარი გამოიძიონ ყველა კატეგორიის, მათ შორის სამეურნეო დანაშაულების შესახებ აღძრული რთული და მნიშვნელოვანი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეები.

მიუხედავად გარკვეული წინსვლისა მიღწეული საკმარისი არ არის. შეიძლება ითქვას, რომ იგი დღეს დღეობით ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, რომლებსაც გამოძიების დარგის მუშაკების წინაშე აყენებს პრაქტიკა და ჩვენი ხელმძღვანელობა.

განვლილი მუშაობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ტრანსპორტზე მომხდარი დანაშაულების შესახებ აღძრული სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ასევე უფრო ეფექტურად და დროულად მთავრდება მათზე წინასწარი გამოძიება, მაგრამ მიუხედავად ამისა ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამომძიებლები კვლავ უშვებენ უხეშ პროცესუალურ დარღვევებს.

1984 წელს სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო მოთხოვნათა დარღვევისათვის მათზე წინასწარი გამოძიების გაჭიანურებისა და უხარისხოდ ჩატარებისათვის გამომძიებლის თანამდებობიდან დათხოვნილი იქნა რამდენიმე გამომძიებელი.

1985 წელს საგამომძიებლო განყოფილების გამომძიებლების მხრივ საგრძნობლად იკლო დარღვევების რაოდენობამ. ასევე გაუმჯობესდა საერთო მაჩვენებლები წინა წელთან შედარებით, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში გამომძიებლებმა კვლავ დაუშვეს ისეთი უხეში საპროცესო დარღვევები, რომ იძულებული შევიქენით დაგვესაჯა ისინი დისციპლინარული წესით.

საგამომძიებლო განყოფილების კომუნისტები, განყოფილების ხელმძღვანელობა მომავალშიც მთელი პარტიული პრინციპულობით შეაფასებს დისციპლინის თუ შრომის ნორმების ყოველ დარღვევას და ყველაფერს, გააკეთებს არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

Прежде чем начать эту статью мы долго думали над заголовком. Перебрали много слов в поисках тех, что могли бы наиболее емко обозначить суть происходящего. Для того, чтобы не вводить в заблуждение читателей, скажем сразу: речь идет о состоянии сохранности социалистической собственности на промышленных объектах народного хозяйства, находящихся под охраной.

УВО решило провести рейд и проверить все объекты, находящиеся под охраной вневедомственной охраны. Причем, мы не просто искали тех, кто не выполняет соответствующих постановлений и инструкций по охране соцсобственности, а пытались

# БЕЗОТВЕТСТВЕННОСТЬ

также проверить, как устраняются на различных объектах выявленные ранее недостатки в технической укрепленности и оборудовании их средствами охранно - пожарной сигнализации.

Итак, из проверенных промышленных объектов многие оказались неукрепленными.

Беспокойство вызывает и состояние сохранности собственности кооперативов на объектах, расположенных в сельской местности. Здесь около половины объектов не только не оборудованы охранной сигнализацией, но и не укреплены технически.

И хочется задать вопрос: не создает ли все это благоприятной обстановки для совершения хищений и краж? Вопрос, на который не может быть иного ответа — да! А чем, как не безответственностью руководства вышеуказанных объектов можно назвать такое положение дела.

И вырастает перед нами неприглядная картина: только за период 1984 — 1985 годов, было выявлено большое количество фактов мелких хищений. Сравним цифры и окажется, что они заметно превосходят показатели 1983 года. Характерно, но факт: более 60% хищений совершаются на предприятиях министерств пищевой, мясо-молочной и легкой промышленности.

Анализ показывает, что мелкие хищения, как правило, выявляются на одних и тех же объектах, в то время, как на других (Сухумская ткацкая фабрика, Ткварчельский колбасный цех, Ткибульский мясокомбинат, Марнеульский кожзавод и многие другие) на протяжении ряда лет не были выявлены факты мелкого хищения или попросту говоря, вор не был пойман за руку. А может с мелкими хищениями здесь покончено? Отнюдь. Несут. Не особенно совершенствуются методы, а больше полагаясь на попустительство и благодушие представителей охраны, начальника цеха, смены и др.

Однако несмотря на ряд проводимых Управлением вневедомственной охраны и его подразделениями на местах мероприятий по очищению своих рядов от случайных и скомпрометировавших себя лиц, работа в этом направлении не отвечает требованиям постановления вышестоящих органов.

Помимо мелких хищений, работниками вневедомственной охраны по личной инициативе и совместно с местными аппаратами БХСС выявляются крупные хищения.

7.08.84 года работниками вневедомственной охраны Глданского района г. Тбилиси был задержан рабочий камвольно - прядильной фабрики Габричидзе Д. Д., который похитил 2 кипы шерсти на общую сумму 5.420 рублей.

27.05.85 года работниками ОВО Кутаисского УВД был задержан заведующий складом Кутаисского кожобувного комбината Нарсия Т. А. и водитель АТП № 1 Мжаванадзе Ш. Г., которые из названного комбината похитили резиновые изделия на сумму 894 рубля.

Вот уже на протяжении ряда лет многие объекты остаются технически неукрепленными, ограждения территорий этих объектов по высоте конструкции не отвечают положенным нормам, имеют лазы и разрушения. Их производственные и складские помещения не капитальные и ветхие, на окнах отсутствуют металлические решетки, освещение территорий местами неудовлетворительное, на КПП слабо внедряются технические средства усиления охраны, многие КПП не оборудованы турникетами, комнатами досмотра, камерами хранения личных вещей рабочих и служащих.

Смехотворно звучат наказания, выносимые расхитителям народного добра. Так, «несуны» отделываются либо общественным порицанием, либо предупреждением. Не создается ли картина мнимого благополучия или впечатления того, что личная собственность граждан охраняется много строже, чем государственная. И еще парадокс: кража у государства до 50 рублей называется мелким хищением, а кража у частного лица — воровством. Не слишком ли мы либеральны к расхитителям народного добра и не пора ли ужесточить меры в отношении них? Потому что воруя у государства, они воруют, в первую очередь, у нас. Ведь это наше народное добро и беречь его должен каждый, как самое дорогое, личное.

Особенно следует отметить то обстоятельство, что при рассмотрении дел о мелких хищениях не выявляются должностные, материально-ответственные лица, которые способствуют, а порой снабжают расхитителей и тем самым становятся соучастниками в хищении.

**Т. ХИЗАНИШВИЛИ,**
**подполковник милиции.**

# საქმის სიყვარულით, მოვალეობის გრძნობით

**მილიციის** კაპიტანის გენადი ლაჭავას სამუშაო დღე დილით ადრე იწყება და გვიან საღამომდე გრძელდება. მხოლოდ თავის პროფესიაში შეყვარებულ ადამიანს შეიძლება სიამოვნება მიანიჭოს ასეთმა დაძაბულმა შრომამ. მას კი მართლაც ძალიან უყვარს თავისი პროფესია.

...საშუალო სკოლა ქ. ზუგდიდში დაამთავრა, შემდეგ კომკავშირული საგზურით მიემგზავრება ყაზახეთში, ყამირზე. იქ მიიღო მან პირველი შრომითი ნათლობა, თავი ისახელა, როგორც ერთ-ერთმა საუკეთესო ყამირელმა. იქიდან დაბრუნებული ზუგდიდის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში იწყებს მუშაობას რიგით მილიციელად.

1963 წელს მას სასწავლებლად ქ. თბილისის მილიციის ორწლიან სკოლაში აგზავნიან. გენადი იქაც წარჩინებულთა შორისაა და მისი სურათი საპატიო დაფას ამშვენებს. სწავლის პერიოდში ის ოთხჯერ იქნა წახალისებული სკოლის ხელმძღვანელობის მიერ, მათ შორის ყველაზე მეტად ერთი შემთხვევა დაამახსოვრდა გენადის, — 1965 წლის იანვარში მილიციის სკოლის კურსანტს, სკოლის უფროსის ბრძანებით გამოეცხადა მადლობა დამნაშავის დაკავებისას გამოჩენილი ოპერატიულობისათვის.

აღნიშნული სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი ისევ ზუგდიდის რაიგანყოფილებაში ბრუნდება სამუშაოდ. 1965-67 წლებში ამავე განყოფილების უბნის ინსპექტორია. 1968 წლიდან 1975 წლამდე კი გალის შს რაიგანყოფილებაში მუშაობდა უბნის ინსპექტორად.

ამ პერიოდში გ. ლაჭავამ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე არაერთ წარმატებას მიაღწია. აი რამდენიმე ეპიზოდი მისი სამსახურეობრივი საქმიანობიდან:

აჩიგვარის სამომსახურეო უბანში მუშაობის პერიოდში მის მიერ დაკავებული იქნა 40 ძებნილი, მათ შორის საკავშირო ძებნილებიც.

1973 წლის 12 მარტს უცნობმა პირებმა სოფ. აჩიგვარაში გააჩერეს მსუბუქი ავტომანქანა და მძღოლს სთხოვეს გალამდე წაყვანა, გზაზე ბოროტმოქმედებმა აღნიშნული მანქანის მძღოლი სცემეს, წაართვეს სხვადასხვა ნივთები, მანქანა კი გაძარცვეს და მიიმალნენ. დაზარალებულმა, ერევნელმა ინჟინერმა აკოფიანმა უბნის ინსპექტორ გ. ლაჭავას დაუსახელა ბოროტმოქმედთა ნიშნები. გენადის მიერ მიღებული ოპერატიული ზომების შედეგად ხუთივე მძარცველი დაკავებულ იქნა.

გენადი ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე. ცდილობს ცხოვრებასთან ფეხშეწყობილმა მოვლენების მხარდამხარ აქეთოს თავისი საქმე. ზოგჯერ უსიამოვნებას გადაეყრებოდა ხოლმე, მაგრამ უბანში სიმშვიდის უზრუნველსაყოფად უკან არასოდეს დაუხევია.

1975 წლიდან დღემდე ის სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეგანყოფილებაში მუშაობს. აქაც გამოჩნდა მისი უნარი და პრინციპულობა.

...გალის „რაიდამზადების" კანტორიდან ფიქტიური საბუთების შექმნით ფული გამოჰქონდათ. გ. ლაჭავამ განყოფილების სხვა მუშაკებთან ერთად სააშკარაოზე გამოიყვანა ბოროტმოქმედები. მათ მიერ დატაცებული 24 ათასი მანეთი უკლებლივ ჩაბარდა სახელმწიფოს.



მილიციაში. წერილი მოვიდა. წერილში ლაპარაკი იყო დამამზადებლების მიერ სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტებზე.

გ. ლაჭავას დაუღალავმა შრომამ შედეგი გამოიღო. სახელმწიფო ქონების დამტაცებლები, დამამზადებლები თ. კულუმბეგოვი და ი. ზუხბაია მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, მათ შესაბამისად 24 და 9 ათასი მანეთი დაიტაცეს.

გ. ლაჭავამ „უმწიკვლო მუშაობის" მეორე და მესამე ხარისხის მედალი, „მილიციის წარჩინებულის" სამკერდე ნიშანი და მრავალი სხვა წახალისება დაიმსახურა.

იგი ბევრს მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული ცოდნის დონის ასამაღლებლად. წარმატებით დაამთავრა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტი.

რაიგანყოფილების ხელმძღვანელობას, პირველად პარტიულ ორგანიზაციას, კომუნისტებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ გ. ლაჭავას შემართება და მონდომება, საქმისადმი სიყვარული, სამსახურებრივი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, — იგი ერთხმად მიიღეს სკკპ რიგებში.

წარმატებებსა და წახალისებებს თავბრუ არ დაუხვევია მისთვის. იგი პრინციპული, მომთხოვნია ყველასა და საკუთარი თავის მიმართ.

— დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და იმოქმედოს მხოლოდ კანონის მიხედვით, ესაა ჩვენი პროფესიის ადამიანის უპირველესი, წმინდათაწმინდა მოვალეობა, — ამბობს მილიციის კაპიტანი გ. ლაჭავა. და როცა მისი ცხოვრების გზას თვალს გადავავლებთ, გვჯერა, რომ ის კანონს არასდროს არ გადაუხვევს.

ჯ. ბაბელია,
გალის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის კაპიტანი.

# „საბჭოთა მილიცია“ № 9

**გამოვიდა** სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-მეთოდური ჟურნალის „სოვეტსკაია მილიციის“ მორიგი, მეცხრე ნომერი.

ჟურნალი ბეჭდავს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის, მილიციის გენერალ-მაიორის ა. ქორიჩის სტატიას, რომელიც საპატრულო-საგუშაგო სამსახურის მუშაობას ეძღვნება. სტატიაში „ახალი ფორმების ძიებაში“ მოსკოვის ოლქის ეგორიევსკის შს საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის მაიორი ვ. ხორიკოვი გვიზიარებს გამოცდილებას ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში. ჟურნალის სპეციალური კორესპონდენტი, მილიციის მაიორი გ. მელნიკი თავის სტატიაში გვაცნობს ნაკლოვანებათა აღმოფხვრის იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ატარებს ივანოვოს ოლქის ქ. კინეშმის საქალაქო განყოფილების ახლად დანიშნული ხელმძღვანელობა. ვ. იუდინის ფოტორეპორტაჟში გავეცნობით იაროსლავლის ოლქის გავრილოვ-იამსკის შს რაიგანყოფილების პარტორგანიზაციის მდივნის, მილიციის კაპიტანის მ. სტრახოვას საქმიანობას. ჟურნალში ქვეყნდება წერილი „მეტი ყურადღება გამოცდილებას“, რომელიც ეხება თბილისის ორჯონიკიძისა და დმანისის შს რაიგანყოფილებებში ჩატარებულ მკითხველთა კონფერენციებს. ჟურნალის რედაქციის თხოვნით ჩვენი ქვეყნის 16 რეგიონის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლებმა შეავსეს ანკეტა — „თქვენი წვლილი დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის აცილებაში“. ნომერში გავეცნობით ამ ანკეტის პასუხებს. საკურორტო ზონაში მუშაობის თავისებურებებზეა საუბარი სტატიაში „აფხაზეთის მარგალიტი“.

ჟურნალი ბეჭდავს „რაზმელის“ მორიგი ნომრის მასალებს. როგორც ყოველთვის მწვავე და პრობლემურია „სატირულ პატრულში“ გამოქვეყნებული წერილები. ნომერში მთავრდება ე. რუდნევის მოთხრობა „სამი ალმასი“. ჟურნალი გვაცნობს მკითხველთა წერილებს, ფიზმომზადებისა და სპორტისადმი მიძღვნილ მასალებს.

# სახანძრო ტექნიკის სიახლენი

**სან-ხოსეს** (აშშ) სახანძრო დაცვის განყოფილებამ დაიწყო ერთიანი სასწავლო ცენტრიდან კაბელიანი სატელევიზიო ქსელის საშუალებით მეხანძრეთა მომზადება.

24 ერთსაათიან სასწავლო გადაცემებს ერთდროულად მოისმენენ გარნიზონის ყველა ნაწილში. განრიგი ითვალისწინებს თვეში 4 ერთსაათიან. გადაცემას სამი ცვლისთვის. იმათთვის ვინც ტრანსლიაციის დროს ხანძარზე იყო გასული, გადაცემებს იმეორებენ.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს რეალური ხანძრების ქრობის სიუჟეტები. ყოველი გადაცემის შემდეგ წამყვანი ატარებს მსმენელთა საკონტროლო გამოკითხვას (10 შეკითხვა). პასუხების რეგისტრირება ხდება სწავლების საპროგრამო აპარატურაზე. აუცილებლობის შემთხვევაში მომდევნო გადაცემისას ხდება ძნელადგასაგები მასალის ახსნა ან სხვა ფორმით წარმოდგენა.

**ინგლისელ** სპეციალისტთა დადებითი შეფასება დაიმსახურა ხანძრის ქრობის ხელმძღვანელის სამუშაო ჩემოდნის კომპლექტმა. მასში შედის თეთრი ემალით დაფარული ფოლადის ფურცელი, მაგნიტური ნიშნების კომპლექტი, საწერი საშუალებები, დურბინდი, საველე ტელეფონი, საინფორმაციო მასალები. ემალიან ფურცელზე ფერადი საწერი საშუალებებით იხაზება ხანძრის ადგილმდებარეობის გეგმა. მაგნიტური ნიშნების საშუალებით, რომლითაც აღინიშნება ქვედანაყოფის პირადი შემადგენლობის რაოდენობა და სახანძრო ტექნიკის სახეობები, ხდება ავტომობილების და ოფიცერთა კონტროლის სექტორების ოპტიმალური პოზიციების შერჩევა. ნიშნები აგრეთვე აღნიშნავენ გამოძახებულ ტექნიკას, რომელიც ადგილზე ჯერ არ მოსულა. საველე ტელეფონი და დურბინდი გამოიყენება კავშირის დასამყარებლად და ცალკეული საბრძოლო მონაკვეთების თვალთვალისთვის. მცირე ბიბლიოთეკაში არის ცნობარი, რომელშიც არის მონაცემები საშიში მასალების თვისებებზე, სპეციალური სამსახურების სია.

ИЗ ПОЧТЫ «МГБС»

# Теплые слова благодарности

Прошу через вашу газету выразить благодарность администрации, лечащему и обслуживающему персоналу санатория «Кодори» МВД ГССР г. Пицунда.

В санаторий я пришла в тяжелом состоянии. В результате лечения, хорошего питания и заботы со стороны обслуживающего персонала положение мое улучшилось.

Хочется сказать слова благодарности главному врачу Н. Ерквания, заведующему отделением Р. Белской, лечащему врачу Ц. Чантурия, старшей медсестре Э. Туманишвили.

Это люди, любящие свою профессию, отдающие свои силы и энергию на благо окружающих.

Желаю всему обслуживающему персоналу доброго здоровья и успехов в личной жизни.

**В. АРАКЕЛОВА,**
**секретарь Совета ветеранов войны и органов внутренних дел МВД Аджарской АССР, майор милиции.**

# მოზაიკა

**„XX საუკუნის“** 16 ფილიპინელმა მეკობრემ, რომლებიც გადასხდნენ მალაიზიის პატარა ქალაქ ლახად-დატუს სანაპიროზე, თავდასხმა მოაწყვეს ბანკზე, სადაც რვა კაცი მოკლეს. სანამ მეკობრეები 24 ათასი დოლარით ღია ზღვაში გავიდოდნენ მათ დაარბიეს ადგილობრივი ავიაკომპანიის განყოფილება და ააფეთქეს პოლიციელთა კატერი. პოლიციელებთან შეტაკებისას ორი ბანდიტი დაიღუპა, დანარჩენებმა კი თავს უშველეს.

**კოლუმბიაში** მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლებს იძულებითი წესით აყურებინებენ ფილმებს ავტოკატასტროფების მომენტებით.

ИСТОРИЯ ОДНОГО ДЕЛА

# «Прописанными не значатся...»

**Уважаемая редакция!**

**Обращается к вам инвалид Великой Отечественной войны.**

**Во время войны наша семья была эвакуирована в с. Сареево, Ядренского района, Чувашской АССР.**

**В марте 1942 года меня призвали в ряды Советской Армии, а мать, братья и сестры остались в Чувашии. Первое время я с ними переписывался, а потом был ранен и попал в госпиталь. После выздоровления узнал, что моя семья переехала из района, но куда, не смог узнать.**

**После демобилизации я попал в Грузию, в г. Рустави, где и живу по настоящее время. И все это время я искал родных и близких мне людей, но бесполезно. Но благодаря чуткости, доброте начальника паспортного отделения Руставского ГОВД старшего лейтенанта милиции З. Чадунели и старшего инспектора капитана милиции Т. Бердзенишвили я нашел своих братьев и сестер.**

**Огромное им спасибо.**

**Д. БОРИСКИН.**

г. Рустави.

* * *

Запросы, ответы, вновь запросы. И никакого положительного результата. «Прописанными не значатся...» — сухие эти два слова на справках со штампом адресного бюро складываются в десятки и сотни листов дела.

Два тома «Дело Борискиных» лежат передо мной. Листаю их. Чукотский автономный округ, Волгоград, Ташкент, Куйбышев, Ленинград, г. Анадырь... Куда только не посылались запросы. Вся карта страны с городами и населенными пунктами вместилась в эти два тома. А за скупыми справками дела—большое человеческое участие сотрудников паспортной службы в судьбе ветерана войны, отзывчивость, желание помочь, найти дорогих и близких его сердцу людей.

Шел второй месяц поисков. «Прописанными не значатся...». И вдруг — первая весточка. Из Гатчинского района Ленинградской области. Нашелся брат Дмитрия Борискина — Георгий. И потянулась ниточка. Установили и сестер — Марию и Ольгу...

Оставим на время счастливых братьев и сестер и вернемся в паспортное отделение Руставского ГОВД.

Два месяца З. Чадунели и Т. Бердзенишвили провели в ожидании. Напряжение сил, переживания, а вместе с тем и огромное желание во что бы то ни стало найти, помочь человеку, не прошли даром. И вот работники этой «тихой» службы, как принято называть иногда сотрудников паспортного аппарата, проделали огромную, кропотливую работу по установлению и восстановлению связей, прерванных Великой Отечественной.

...Где состоится встреча Борискиных — в г. Рустави или в Гатчинском районе— пока неизвестно. Главное, братья и сестры нашли друг друга, нашли спустя... 40 лет и теперь никакая сила не способна разлучить их снова. В этом они уверены. Эту уверенность им вселила чуткость, честность, доброта, человечность и преданность делу старшего лейтенанта милиции З. Чадунели и капитана милиции Т. Бердзенишвили.

А у сотрудников паспортного отделения будут новые дела. И начинать придется все сначала...

**А. СААКАДЗЕ.**
**(Наш спец. корр.).**
г. Рустави.

სპორტი — სპორტი

# ასპარეზობენ მრავალჭიდელები

**ვ. ი. ლენინის** სახ. „დინამოს“ სტადიონსა და ვაშლიჯვარის სასროლეთზე ჩატარდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად-გუნდური ჩემპიონატი საავტომობილო მრავალჭიდში.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს შს სამინისტროს შრომაგამოსწორების დაწესებულებებისა და სახანძრო დაცვის სამმართველოების, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ შს სამინისტროების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისისა და ქუთაისის შს სამმართველოების, რუსთავის შს საქალაქო განყოფილების გუნდებმა.

ჩქაროსნული მანევრირების რთული ტრასის დაძლევა ვერ შესძლო მონაწილეთა ნახევარმა. გამარჯვება კი მოიპოვა თბილისის შს სამმართველოს გუნდის წევრმა ზ. ეპიტაშვილმა, რომელმაც კონკურენტებს შესამჩნევი უპირატესობით აჯობა. მანვე გაიმარჯვა ავტომობილის ეკონომიურ მართვაში. მრავალჭიდელებმა უფრო დამაჯერებლად იასპარეზეს საავტომობილო სლალომში, სადაც კარგი მომზადება გამოავლინა და პირველობა მოიპოვა ს. ჩაჩავამ (აჭარის ასსრ). შეჯიბრების ბოლო სახეობაში სამსახურებრივ ბიატლონში, რომელიც პირველად შეიტანეს მრავალჭიდის პროგრამაში დისტანცია ყველაზე სწრაფად გაირბინა და ზუსტად ისროდა რ. ტვილდიანი (აფხაზეთის ასსრ).

პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ო. ფუტკარაძემ (აჭარის ასსრ), რომელიც თანაბრად გამოვიდა მრავალჭიდის ყველა სახეობაში.

გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს აჭარის ასსრ შს სამინისტროს სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გავიდა თბილისის შს სამმართველოს გუნდი, რომელმაც პირველად მიაღწია ასეთ წარმატებას, მესამე ადგილი დაიკავეს აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროს მრავალჭიდელებმა.

**ს. ბალსტიანი,**
**მილიციის უფროსი ლეიტენანტი, შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე.**



СПОРТ — СПОРТ

# «Автостремительный» чемпионат

**13 часов дня. По большому кругу обширной асфальтированной площадки Юго-Осетинского автотранспортного объединения колонной проносится десяток милицейских «Жигулей» и УАЗиков. Встречный ветер развевает красный флаг, установленный на передней машине.**

**Совершив два круга, колонна останавливается перед группой руководителей органов и подразделений внутренних дел Юго-Осетии и дирекции областного автообъединения.**

**Четким шагом проносят перед строем знамя республики неоднократные чемпионы Юго-Осетии, призеры чемпионатов МВД ГССР и участники Всесоюзных первенств кандидаты в мастера спорта СССР лейтенант милиции О. Тегкаев и А. Санакоев, младший лейтенант в/с Г. Жоржолиани и младший лейтенант милиции Р. Гобозов.**

**Звучит гимн Грузинской ССР и алое полотнище поднимается по высокому флагштоку. Парадным маршем проходит строй сотрудников-спортсменов.**

**А вскоре сотни работников и служащих автотранспортного объединения области становятся свидетелями захватывающих состязаний, требующих от спортсменов-автомобилистов высокого профессионализма, быстрой сообразительности, отменной реакции и большой точности в управлении оперативным транспортом.**

**Интересна и разнообразна программа чемпионата по автомногоборью, в которую входят соревнования по фигурному вождению и скоростному маневрированию на автомашине «УАЗ-469», стремительный автослалом на автомобиле «Жигули» и скоростная стрельба из пистолета в сочетании с кроссом на дистанции 1.500 метров.**

**С энтузиазмом проводится в Юго-Осетии этот «автостремительный» чемпионат, в развитии которого проявили инициативу инспектор-методист боевой и физической подготовки УК МВД ГССР по ОВД Юго-Осетии старший лейтенант милиции К. Коблов и начальник караула СВПЧ г. Цхинвали младший лейтенант в/с Г. Жоржолиани.**

**По итогам чемпионата первое общекомандное место занял коллектив Цхинвальского РОВД.**

**Успешно выступила и команда военизированной пожарной части г. Цхинвали, занявшая второе место.**

**На третьем месте—команда Ленингорского РОВД.**

**В личном первенстве вновь подтвердили свое высокое профессиональное мастерство младший лейтенант в/с Г. Жоржолиани и госавтоинспектор Цхинвальского РОВД О. Тегкаев. Набрав по итогам многоборья 66 и 65 баллов, они заняли соответственно первое и второе место.**

**Отрадно отметить успешное выступление в соревнованиях инспектора ДПС Цхинвальского РОВД старшего сержанта милиции С. Битиева и инспектора госпожнадзора Ленингорского РОВД младшего лейтенанта в/с З. Сокурова. Они впервые выполнили нормативы кандидатов в мастера спорта и 1-го спортивного разряда.**

**Команды - победительницы чемпионата и отличившиеся в состязаниях сотрудники - спортсмены награждены дипломами и почетными грамотами.**

**Впереди у многоборцев Юго - Осетинской милиции трудная и ответственная задача — участие в республиканском чемпионате МВД ГССР.**

**А. БИЧИКАШВИЛИ,**
**инструктор политотдела УВД Юго-Осетинского облисполкома, старший лейтенант милиции.**

**НА СНИМКЕ:** момент соревнований.

სარედაქციო კოლეგია
**РЕДКОЛЛЕГИЯ**

ჩვენი მისამართი: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23, ტელ. 95-66-72, 99-41-24. **Наш адрес: 380025. ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24** УЭ 06319

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსი, ხოშარაუ ლის 29.